გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **ინსტიტუტის დირექტორს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

   ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმებით ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-9 მუხლის მეორე პუნქტით.

2. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული. კანდიდატის ასაკი 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

3. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

   მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

3.1 თსუ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:
კონკურსანტს ასევე მოეთხოვება ვაკანსიის პროფილის მიხედვით დამატებით 2 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში; ან 1 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში და 1 მონოგრაფია; ან 1 სტატია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალში და 1 პატენტი; ან 1 სტატია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალში და მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტში;

__შენიშვნა:__ მაღალრეიტინგული გულისხმობს, რომ შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტი ასახულია ან ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google Scholar -ის ბაზაში.

3.2. უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ სამეცნიერო დაწესებულების მართვის ორგანოებში მუშაობის ან სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის 3 (სამი) წლის გამოცდილება მაინც.

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);
დ) ორი ფოტოსურათი (3X4);
ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);
ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
თ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ი) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 22 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 10 იანვრიდან 2023 წლის 13 იანვრის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში, თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას 31, მე-2 სართული, კანცელარიაში.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 20 იანვრისა.